140/1939/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალენდარი

2

1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიეტონი მეთოთხეტე

პიონერი

საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

თებერვალი 1939 წ. № 2

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქცია მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

შინაარსი

		გვ.
1.	ალექსანდრე აბაშელი,—საუბარი პიონერებთან (ლექსი)	1
2.	ნ. ნაგრელი,—მუნჯი ალაპარაკდა (ნაწყვეტი წიგნიდან)	3
3.	იოსებ ნონიშვილი,—დიდის დარიგება (ლექსი)	6
4.	სახელოვანი იუბილარი,—(წერილი)	7
5.	შალვა დადიანი,—კიკოს ნაამბობი (მოთხრობა)	8
6.	სანდრო ელინტი,—გივის საჩუქარი (ლექსი)	10
7.	ნინო ნაკაშიძე,—ულუ და თეთ (მოთხრობა)	11
8.	პოეზია,—ფაცეტიები (თარგმანი შ. თაბუკაშვილისა)	16
9.	კ. ჯავრიშვილი,—ბროკენის აჩრდილი (მთასვლელის დღიურიდან)	გარეკანის მე-3 გვ.
10.	ნ. ჯაში,—ჩაინვორდი (გასართობი)	გარეკანის მე-4 გვ.
11.	ხალხური გამოცანები	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის მიერ

ყდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ კ. გაქელიშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—ელ. აგლაძე პასუხისმგებელი მდივანი—ნ. ხირგილაძე

მთავლიტი 4790 შეკვ. № 90 ტირაჟი 14900 სახკომსაბჭოს სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

საუბარი პიონერებთან

3528

წითელყელსახვევიანს
რა ცა ვხედავ თაობას,
როგორც მოხუცს სჩვევია,
ვიწყებ მასთან საუბარს:

*
* *

—სამშობლოს ყვავილებო,
საყვარელო ბავშვებო,
ახლად ფრთაგაშლილებო,
გოგონებო, ვაჟებო!

*
* *

ერთი აქ შემომხედეთ,
რამდენი ხართ, რამდენი!
სწორედ დროზე მოხვედით,
კარგ დროს დაიბადენით!

*
* *

ცა ლაჟვარდის მდელოა,
მიწის პირი ფართოა,
თქვენი სამფლობელოა,
თქვენი სანავარდოა.

*
* *

ისწავლეთ და იბრძოლეთ,
წრე შეჰკარით მაგარი,
ტოლი ტოლად იტოლეთ
და მტერს ერთად დაჰკარით.

*
* *

დიდხანს ალარ იცდიან,
დიდხანს ალარ დგებიან,
ხელებს მაღლა იწვდიან,
თითქოს მეუბნებიან:

*
* *

უქმად ჩვენ არ მოვიცდით,
წინ გვიძევსო გზა ფართო,
სწავლისა და ბრძოლისთვის
ჩვენ ყოველთვის მზად ვართო!

სამშობლოს ყვავილებო,
გაზაფხულზე მოსულნო,
ახლად გაფურჩქვნილებო,
მზის სხივებით მოცულნო,

*
* *

ჩვენ ზღაპრად არ გვსმენია,
არც გვინახავს თვალითა,
თქვენ რომ ცა გაფენიათ
მოქარგული ლალითა.

*
* *

ეგ სინათლე მოვიდა
განა თავისთავადა—
შავი თოვლის თოვითა
ღამე იდგა შავადა.

*
* *

ბევრი ომი მოგვინდა,
ბევრი ბრძოლა დაგვჭირდა,
სანამ ხმალი ლომ-გმირთა
იმ შავ ღამეს დასჭრიდა.

*
* *

ბევრი ცეცხლშეფენილი
ჩრდილი ქარმა ახვეტა,
სანამ დროშა ლენინის
იმ შავ ღამეს დახევდა.

*
* *

და იმ ქარის გავლენით
ბევრი ზვავი აზვავდა,
სანამ ცეცხლი სტალინის
იმ შავ ღამეს დასწვავდა.

*
* *

და დღეს, აბა რა გითხრათ!—
დარია და ეს არი!
მზიანი დღე დაგიდგათ,
გაზაფხულს მოესწარით,

ქ. ბარქსის სახ. ... საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეცა როდის ყოფილა
ამგვარ სხივთა მფენელი?
რამდენი დამხობილა
დილა გაუთენელი!

*
* *

ღიმდაკრული ლოყები
ვის უნახავს ამდენი?
სწორედ დროზე მოხვედით,
კარგ დროს დაიბადენით.

*
* *

ჩვენი დილა სხვა იყო,—
ღრუბლიანმა ცამ შობა,
სიდუხჭირემ წაიღო
ჩვენი მძიმე ბავშვობა,

*
* *

სწავლას ჩვენ სად ვპოვებდით
წიგნი ჩვენ სად გვებადა?
ჩვენ ნახირს ვაძოვებდით,
ჩვენ ნახირი გვკვებავდა.

*
* *

ჩვენი ყოფნა ამგვარი
მწარე ტანჯვას თუ ჰგავდა,
ხან გვიკლებდა ავდარი,
ხან კი გვალვა გვბუგავდა.

*
* *

თითქოს ჩიტსაც შიოდა
ჩვენი ქოხის ბოძებთან,
საკენკს შემოგვჩიოდა,
მაგრამ ვინ უბოძებდა!

*
* *

ორიოდე მარცვალი,
მოწეული რაც გვქონდა,—
მოდიოდა ნაცვალი
და ბეგარად გაჰქონდა.

თქვენ სავსე ხართ ყელამდის
მშობლიური ალერსით,
თქვენ გულს გითბობთ ბელადის
გრძნობა უმხურვალესი,

*
* *

თქვენ მის სახელს მიმართეთ,
მუდამ მისკენ იარეთ,
მისი სიბრძნის სინათლე
გულით გაიზიარეთ.

*
* *

შორით სალამს მაძლევენ
ზეამართულ ხელებით,
შეეტყობათ ხმაზევე,
რომ თავს ისახელებენ.

*
* *

მესმის მათი სიტყვები:
ვიცით, ვიცით, ვიცითო!
ჩვენ დიდ ბელადს მივყვებით
პიონერულ ფიცითო!

*
* *

შევარდნების ბუდეში
დაჩეკილნო ბარტყებო!
ქართლის მზიან უბეში
რძენასვამო ბალღებო!

*
* *

იალბუზის თავიდან
ჩრდილოეთის კარამდე,
კოლხიდის ნიავიდან
ყინულოვან ქარამდე,

*
* *

შეჯავშნული გარშემო
ეს ქვეყანა თქვენია,
თქვენს სავალ გზას, ბავშვებო,
მზის სხივები ჰფენია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ნაგრელი

მუკი ალაპარაკდა

ნაწყვეტი წიგნიდან „გულადი გიჯი“, რომელიც მიძღვნილია დიდი გოლშევიკის, მგზნებარე რაინდის, სერგო ორჯონიკიძის გავშვიობისადმი.

იმ დროს დაბაში მეტად უცნაური ამბები ხდებოდა. ვაჭრებისა და მეარღნეების ხარაგაული მოჰკრავდა თუ არა ყურს რაიმე ჭორს, მაშინვე გაავრცელებდა.

აი, ვიღაცამ ბაზარში თქვა:

— ხალხო, ხალხო, ახალი ამბავი გაიგეთ? თურმე, ჩვენთან ისეთი მკითხავი ჩამოდის, რომ დედამიწის გულში რა არის, ყველაფერი იცის.

— დედამიწის გულში?!—გაიკვირვეს ბაზარში.

— ჰო, დედამიწის გულში.

— დიდება შენ სახელს, ღმერთო!

— მაცალეთ, ხალხო, ეს რა არის! იმას ისიც სცოდნია, თუ ცაში რამდენი ვარსკვლავია!

— იკურთხა შენი სახელი, მაღალო ღმერთო!

— ვის რა აქვს გულში,—ისიც!

— დიდება შენ, უფალო!

— ვის რა მოელის,—ისიც! მაგრამ ერთი უბედურებაა: მკითხავი მუნჯია.

თურმე, ერთხელ ძილის წინ მაღალ ღმერთს შესჩივლა:

— ჩვენო მამავ, ჩვენო პატრონო, ჩვენო ყველაფერო! მომეცი მე მისნის ძალა, გამაგებინე ყველაფერი, მომასმენინე ეშმაკის ენაო!

მერე მიწვა და დაიძინა. ძილში ქრისტე გამოეცხადა.

— შენი სახელიო?—ჰკითხა კაცს.

— კონსტანტინე!

— კონსტანტინე? კონსტანტინე დიდ წმინდან გმირს ერქვა, დავითის ძმას. ჩვენი სახელია. და რაკი ასეა, მეც დაგეხმარები, ყველაფერს გაგაგებინებ, რაც ამ ქვეყანაზე ხდება, მხოლოდ ენა უნდა წაგართვა: შენი ენით ღმერთების საიდუმლოება წამოგცდება, ხალხს გააგონებ.

ამის თქმაზე ქრისტე გაფრენილა. ოფლში გაწყურულ გახარებულ კონსტანტინეს გამოღვიძებია. თურმე, მოუნდომებია თავისი აღტაცების გამოთქმა, მაგრამ ენა ვერ დაუძრავს. იმ საათიდან კონსტანტინე მეცარი გამხდარა. მაშ! — დააბოლავა სიტყვა ბაზრის მოლაყბემ.

ეს ამბავი მალე გავრცელდა ხარაგოულში და მის ახლომახლო სოფლებში. საღამოს ბაზრიდან დაბრუნებულნი უამბობდნენ მეზობლებს საოცარ მკითხავზე.

— იკურთხა, ღმერთო, შენი სასწაულები!

— არა, ქალო, თვითონ ქრისტე გამოცხადებია?—გაკვირვებით კითხულობდნენ ამბის მოსმენისას...

— ქრისტე, ქალო, ქრისტე! კაცი მისნად უქცევია.



— ხალხო, ხალხო, ახალი ამბავი გაიგეთ?

— ნეტავ როდის ჩამოვა ჩვენთან?

— მალე, სულ მალე!

ახალი შთაბეჭდილებისა და სიხარულისაგან ბევრს არც კი დაუძინია იმ ღამეს. ყველას აწუხებდა რაღაც-რაღაცა და ფიქრობდნენ მკითხავი დაეხმარებოდა.

წვრილშვილიანი აგრაფინე ცას ეწია სიხარულით.

მისი უფროსი გოგონა უკანასკნელ დღეში იყო, წამდაუწუმ ბოდავდა და შფოთავდა. რამდენი ექიმ-

— მიკითხავეთ, ბატონო!

ბაშისათვის მიემართა აგრაფინეს, მაგრამ ხეირიანი წამალი ვერ ეშოვნა.

ახლა კი, აი, მკითხავი მოდის! ყველაფრის მცოდნე, მხსნელი! სულ თვალებს დასთხრის ავადმყოფობას! გოგონა განიკურნება და ისევ იტიკტიკებს, ირბენს, ითამაშებს, გაახარებს დედის გულს...

მაგრამ, ჰოი საშინელებავ! განთიადისას გოგონამ ყრუდ ამოიხრიალა და ფეხები გაჭიმა. აგრაფინემ შეჰკივლა...

თავს დაადგა გაცივებულ ცხედარს უბედური დედა და მოთქმით აქვითინდა.

* * *

ახალი დამთავრებული იყო სატირალი, როცა სოფელს კვლავ ახალი ამბავი მოეფინა:

— თურმე, მისანი კონსტანტინე ჩამოსულა, მეცარი ჩამოსულა!

დაღონებული აგრაფინე თავისი ბავშვებით მკითხავისაკენ წავიდა. მთელი ეზო სავსე დახვდა ხალხით. ვინ არ შეგროვილიყო იქ: თავადი, აზნაური, გლეხი, კაცი, ქალი, მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი...

— ხალხო, გამიშვით უოჩერედოდ!—ატირდა აგრაფინე.

უბედურ დედას გზა მისცეს...

ოთახში იჯდა ახოვანი, ყითური კაცი, მის გვერდით კი ქალი.

— თქვენ ბრძანდებით, ბატონო, მკითხავი? — მორცხვად იკითხა აგრაფინემ.

კაცს ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ქალმა უთხრა: ეს გახლავსო.

— მიკითხავეთ, ბატონო!

კონსტანტინემ კარგად შეათვალიერა აგრაფინე. თვალში ეცა მისი შავი ტანისამოსი. გამხდარი სახე, ჩალურჯებული თვალები, აწეწილი თმა...

გაიძვერამ, მიხვდა რა ყველაფერს, მერე აუჩქარებლად კარტი გაშალა მაგიდაზე, სახე შეიჭმუხნა და თავის ქნევას მოჰყვა.

— რას ამბობს, ბატონო? — ჰკითხა აგრაფინემ ქალს.

— ჯერ არაფერს, ვაცადოთ.

ცოტახნის შემდეგ მკითხავმა ხელები აათამაშა მუნჯურად.

ქალმა დაიწყო:

— მისანი ამბობს, რომ შენ დიდი უბედურება გადაგიტანია, ახლობელი დაგიკარგავს.

— კი, ბატონო, შვილი მომიკვდა, შვილი, ჩემი გოგო-ო-ო...

— ნუ ტირი. მისანი ამბობს, რომ მისი სული ანგელოზებმა მიიბარესო, ბავშვს პატარა წმინდანად აქცევენო! შენ წვრილშვილიანი ქალი ხარ, ღარიბი, გაჭირვებული. მაგრამ ეს არაფერიაო. საიქიოში პირნათლად შეხვალ, იქ მდიდარი იქნებიო. თქვენს სულებსაც ანგელოზები მიიბარებენო. იქ სულ ერთად იქნებითო. მხოლოდ მანამდის ღმერთისათვის უნდა ილოცოთ, მოთმინება უნდა გიყვარდეთო.

გახარებული აგრაფინე გარეთ გამოიჭრა.

— ხალხო, ხალხო!—უთხრა შეკრებილებს,—მართლა ყველაფერი სცოდნია. შვილი მოგკვდომიაო, მისი სული ანგელოზებს მიუბარებიათო, პატარა წმინდანად აქცევენო.

— დიდება შენ, მამაო ღმერთო! საიდან იცოდა ეს!

— შავებზე შეატყობდა! — ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა ერთმა ბიჭმა.

— სერგია, შვილო, ნუ ხარ ახირებული, თორემ განგება დაგსჯის. იგი მეცარია. მოდი, შენც აკითხვინებინე.

— მეც მივალ.

მართლაც, საღამოს, როცა რიგი დადგა, სერგოც შევიდა მკითხავთან. გაიძვერამ დაინახა თუ არა მკვირცხლი, ლამაზი ბიჭი, მაშინვე გაშალა კარტი. მერე თავი მაღლა ასწია, გაიღიმა და მხრებზე დაარტყა ხელები.

კონსტანტინეს მხლებელმა ქალმა ასე თარგმნა მუნჯური:

— მკითხავი ამბობს, რომ ეს ბიჭი დიდი კაცი გამოვაო, სულ ჩინებით ექნება დამშვენებული მხრებიო. ვაინში ჯვრებს მიიღებსო, რუს-ხელმწიფის სასახელო გმირი იქნებაო.

სერგომ ამის გაგონებაზე წარბები შეჭმუხნა, გარეთ გამოვიდა. იქ არაფერი უთქვამს. მხოლოდ ცოტახნის შემდეგ მახლობლებს გაუზიარა თავისი აზრი:

— მე მინახავს მუნჯი, მუნჯს რაღაც სხვანაირი სახე აქვს. მკითხავი კი არა ჰგავს მუნჯს.

— ნუ იცი, სერგია, უცნაური ლაპარაკი. მთელი ქვეყანა ამბობს, რომ მუნჯია და მეცარიო. შენ რა გახდი ამისთანა, რომ არაფერი არ გგერა.

— მე დაბეჯითებით გეუბნებით, რომ იგი მუნჯი არ არის, იგი გაიძვერაა, საძაგელი გაიძვერა.

— ბაზარში არა თქვა ეგ სიტყვები, თორემ გაგტყეპავენ.

— მე დავამტკიცებ, რომ კონსტანტინე ლაპარაკობს.

— გეყოფა მეტიჩრობა, კარგი.

ამ წუთს მახლობლებსაც კი სულელურად მოეჩვენათ სერგოს სიტყვები. ყველანი გაიძახოდნენ მკითხავი მუნჯიაო, და როგორ დაეჯერებინათ ბავშვისათვის?!

—მე მას ჩავუსაფრდები,—არ ტყდებოდა სერგო,—ჩუმად გამოვუხტები კუნჭულიდან და დავუძახებ: „ვეჰ“ მკითხავი ენას ამოიდგამს.—და გულადი ბიჭი გაიქცა. ქუჩის მოსახვევში, ბუჩქის ძირა დაიმალა.

— აქ გამოივლის გაიძვერა, დავუყვირებ და ავალაპარაკებ.

დიდხანს, დიდხანს იცდიდა სერგო ბუჩქის ძირას, მაგრამ მკითხავი მაინც არ მოდიოდა. ნაშუალამევს, როცა სოფელში უკანასკნელი ჭრაქიც ჩაქრა და ყველაფერი მიწყნარდა, გულადმა ბიჭმაც დატოვა საგუშაგო, დარწმუნებულმა იმაში, რომ ამაო იყო მისი ცდა.

მეორე დღეს ხარაგაულში კვლავ მკითხავის ქება-დიდება ისმოდა. მოწიწებით ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც სასწაულმოქმედზე, როგორც ღვთის შთაგონებულზე.

ამავე დროს ბაზარში ვიღაცამ ხმა გააგრცელა:

—ორჯონიკიძის ბიჭს დაუწყია მეტიჩრობა, თურმე ამბობს, კონსტანტინე გაიძვერაოო, მუნჯი არ არისო.

გაბრაზდნენ ბნელი ადამიანები:

— ერთი აქ მაჩვენა ის ლაწირაკი! წიწილივით გავხლეჩ!

— იმ შხამიან ენას ამოვთხრი პირიდან.

—მივბეგვავ!

— ჩავამწარებ მეტიჩრობას!—ყვიროდნენ ვაჭრები, ლოთები, ცრუმორწმუნეები.

თქმა არ უნდა, სერგოზე მართლაც იძიებდნენ შურს, მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი, რომელიც მალე მოედო დაბას.

სერგომ სადღაც რევოლვერი იშოვნა, ჯიბეში ჩაიდო და, თითქოს არაფერიაო, მკითხავისაკენ გაემართა. ნელა, აუჩქარებლად მივიდა ოთახამდის, მერე უეცრად გააღო კარები და შიგ შევარდა. ელვის სისწრაფით ამოიღო რევოლვერი ჯიბიდან, კაცს დაუღირა და დაუყვირა:

— მკითხავო, ხელები მაღლა, შენ გაიძვერა ხარ, მე შენ უნდა მოგკლა!

გადაბაფრულმა კონსტანტინემ ხელები უცებ ასწია ზევით და ანგარიშმიუცემლად, ინსტინქტურად წამოიძახა:

— ბიჭო, არ მომკლა, რა დაგიშავე!

— გარეთ გაიქეცი, თორემ ახლავე გაგათავებ!

შეშინებული კონსტანტინე ღრიალ-ღრიალით გაიქცა ეზოში, სადაც ხალხი იყო შეკრებილი.

— მიშველეთ, მიშველეთ,—თავდავიწყებით ყვიროდა იგი,—ეს ბიჭი მკლავს!

სერგო ხარხარებდა და აღტაცებით იძახდა:

— აი, თქვენი მისანი, აი თქვენი მუნჯი! ხომ ხედავთ, რა კარგად ლაპარაკობს! გაიძვერა! გააგდეთ მაგი!



— ბიჭო, არ მომკლა, რა დაგიშავე?

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, ვინ რას ამბობდა და ვინ რას.

— წავიდეთ, წავიდეთ, მართლაც გაიძვერა ყოფილა!

— მოვკლათ, ჩავქოლოთ მატყუარა, წამგლეჯი!

— ეშმაკის ფეხია ეს ორჯონიკიძის ბიჭი; ხედავთ, რა საქმე ჩაიდინა? წმინდანი კაცი გააუწმინდურა თავისი იარაღით! ტყვიის დანახვაზე ქრისტემ ისევ წაართვა მისნობა კონსტანტინეს, ენა დაუბრუნა, მეცარობა წაართვა. ასე იცის მაღალმა ღმერთმა! ვაი ჩვენს მოსწრებას!

კონსტანტინემ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს. იგი დამშვიდდა.

— განგებამ გამომიგზავნა ეს ბიჭი,—თქვა მერე ხალხში,—თავი მქონდა გავსებული ყველაფრის ცოდნით, ვერც ვამბობდი. წუხელ სიზმარი ვნახე: ისევ გამომეცხადა ქრისტე. მითხრა: კონსტანტინე, კონსტანტინე! ხვალ აქაურ ბიჭს გამოგიგზავნი რევოლვერით. შენ დროებით მისნობა წაგერთმევა, მეტყველება დაგიბრუნდება, არ არის საჭირო ხალხმა ყველაფერი იცოდეს, თორემ წმინდად ვერ შევა სამოთხეშიო, და აი, ხალხო, ბიჭიც გამომეცხადა, ენაც ამოვიდგი.

— ნუ, ნუ, ნუ...—თავის ქნევით ამბობდნენ ქალები.

— ქრისტეს ხედავდი, ბატონო, თვითონ ქრისტეს?

— მეძინა, მაგრამ მაინც ვხედავდი, აი, ასე როგორც თქვენ გიმზერთ!

— რანაირი სახე აქვს?

— ქრისტე—ღმერთი მაღალია. გულზე გრძელი, ვერცხლივით თეთრი წვერი აქვს დაფენილი. თავზე ოქროს გვირგვინი, მზით შემკული და განათებული! სულ ოქროს სხივებში იყო გახვეული ქრისტე ღმერთი! იკურთხოს მისი სახელი!

— ნწუ, ნწუ, ნწუ... დიდება ღმერთს, დიდება ღმერთს!—ისევ იძახდნენ განცვიფრებული ქალები.

უმრავლესობა ორ ცეცხლშუა იყო ჩავარდნილი: არ იცოდნენ რა დაეჯერებინათ. რაღაც საშინელ გამოუცნობ ბურუსში იყვნენ გახვეულნი. ღამით აწუხებდათ ეს აბეზარი ბურუსი.

მეორე დღეს წირვის დაწყებამდის მღვდელმა თქვა:

— კონსტანტინე მკითხავმა მართალი მკითხრთ გუშინ. მას ყველაფერი დაუჯერეთო.

ბევრს მოეშვა გულზე. კვლავ რელიგიის მაგარ ქურქში გაეხვივნენ, როგორც წმინდა და უმწიკვლო სამოსელში.

ზოგიერთები კი კვლავ ბურუსში დარჩნენ.

მხოლოდ ნაწილს სჯეროდა, რომ სერგო იყო მართალი, კონსტანტინე და მისი მხლებელი ქალი კი გაიძვერები, საძაგლები, ხალხის მატყუარები, წამგლეჯები, საზიზღარი ადამიანები.

იოსებ ნონეშვილი

ყველის დარიგება

ვარსკვლავების ქარავანი
გადასცილდა ზეცის საზღვარს,
უძილობით ფერმიმკრთალი
მხოლოდ მთვარე ენთო მაღლა.

გაეშალა ყველგან კალთა
ცისკრის სიოს მთით მობერილს,
აყვავებულ ეზოს კართან
არიგებდა შვილს მშობელი.

როგორც კაცი, გვერდით იდგა
მოშრიალე მწვანე ნუში,
ძლივს ისმოდა დედის სიტყვა
ხის ფოთლების შარიშურში.

„მე ჩაგიდგი ძალა მკლავში,
მუდამ ჩემი ზრუნვა გსდევდა,
და ვიცი, რომ წითელ ჯარში
არ შემარცხვენ მშობელ დედას.

იმის სახელს გაუფრთხილდი,
ვინც გაგვიღო ზეცის კარი,
ვინც დაამხო ღამის ბინდი
და აგვინთო დღე ცისმარი.

თუ საზღვარი გადმოლახეს, —
აიჭერ და გასალკლდევდი,
გასალკლდევდი... მაშინ გმართებს
შეუნგრიო ძაღლებს მკერდი!

და თუ, შვილო, შიშით უძლურს,
ტყვიას ზურგში გიპოვნიან, —
ვიტყვი, რომ შენ ჩემი ძუძუ
არასოდეს გიწოვია!“

ხეივნების გაშლილ ზღვაში
ისევ დილის ნისლი იწვა
და სხივთვალა მზის კაშკაშით
ელვარებდა ცა და მიწა.

მზე ვაჟკაცის გულშიც იდგა,
თვალებშიაც ფეთქდა სრული
მშობლიური დედის სიტყვა
და სამშობლოს სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა დადიანი იუბილარი



ძველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ტარიელის-ძე დადიანის ოჯახში 1874 წლის 8 მაისს დაიბადა ვაჟი. მას სახელად შალვა უწოდეს. პატარა შალვა უაღრესად კულტურულ ოჯახში იზრდებოდა. მისი მამა ნიკო დადიანი, ენათმეცნიერებისა და მედიცინის დიდი მცოდნე, უდიდეს შრომას ეწეოდა თავისი შვილების გონებრივი ზრდისა და განვითარებისათვის.

მეტად აოცებდა იმდროინდელ ინტელიგენციას ნიკო დადიანის თავისებური შეხედულება ბავშვების აღზრდაზე: მან განზრახ არცერთი შვილი არ შეიყვანა სასწავლებელში. ნიკო დადიანს სამართლიანად არ სწამდა იმდროინდელი რუსიფიკატორული სკოლა. მან კარგად იცოდა, რომ ეს სკოლები არა თუ ზრდიდნენ და ავითარებდნენ გონებრივად მოზარდ თაობას, არამედ ფიტავდნენ და უხშობდნენ მას შემოქმედებისა და ინიციატივის უნარს. აი რატომ აიღო თავისთავზე ნიკო დადიანმა შვილების აღზრდის საქმე. ის მოისვამდა გვერდით თავის ქალ-ვაჟს: მარიამსა და შალვას, და დაუღალავად ასწავლიდა მათ მეცნიერების სხვადასხვა დარგს; ენას, ლიტერატურას, ისტორიას, მედიცინას... ბავშვების ნორჩი გონება სწრაფად იფურჩქნებოდა. მათ სწრაფ განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე მამის მდიდარი ბიბლიოთეკაც.

ნიკო დადიანი იმთავითვე დარწმუნდა, რომ ის არ ტყუვდებოდა. იგი ხედავდა, რომ მის შვილებში უკვე პატარაობიდანვე მუშავდებოდა დამოუკიდებელი შრომისა და შემოქმედების უნარი. ჯერ კიდევ 12 წლისა იყო შალვა, როდესაც დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის „მოზარდის“ გამოცემა. ის სხვა ბავშვებთან ერთად ამ ჟურნალში ათავსებდა საკუთარ ლექსებს, წერილებს. ჟურნალში მონაწილეობდნენ აგრეთვე ამხ. მიხა ცხაკაია, მწერალი დუტუ მეგრელი, შალვას და მარიამი და სხვები. ჟურნალის ნომრებს შრომისმოყვარე პატარა შალვა თავისივე ხელით წერდა. ამავე ხანებში ის ხშირად მართავდა ოჯახში პატარ-პატარა წარმოდგენებსაც. და აი, სწორედ ეს ორი დარგი, მწერლობა და თეატრი, გახდა შემდგომ შალვასათვის სამოღვაწეო ასპარეზი.

19 წლის ჭაბუკს განსაკუთრებით იტაცებს თეატრი, და 1893 წელს ის პირველად გამოდის სცენაზე.

ახალგაზრდა მსახიობი, რომელიც თავიდანვე უდიდესი წარმატებით სარგებლობდა, სიყვარულით შეუდგა მუშაობას ქართულ სცენაზე. მალე მან რეჟისორული მოღვაწეობაც დაიწყო, და უკვე 1907 წელს ქუთაისის თეატრის სცენაზე შალვა დადიანის რეჟისორობით დაიდგა შ. ნათაძის პიესა „ლევან ეგანაძე“. მისი რეჟისორობით სულ 105 პიესაა დადგმული.

შალვა დადიანს დიდხანს — 1923 წლამდის — არ მიუტოვებია თავისი საყვარელი სცენა. სასცენო მოღვაწეობის მანძილზე მას 200-მდის როლი აქვს შესრულებული, მათ შორის ისეთი საპასუხისმგებლო როლები, როგორიც არის: „მეფე ლირში“ — თვით ლირის როლი, „ვინ არის დამნაშავეში“ — სიკოსი, „ღალატში“ — ოთარბეგისა და სხვ.

მაგრამ მხოლოდ მსახიობობით და რეჟისორობით არ ამოიწურება შალვა დადიანის მოღვაწეობა. ის თავიდანვე ენერგიულად მუშაობდა ქართული ორიგინალური პიესების შესაქმნელად. დღემდის მას დაწერილი აქვს 40-მდის პიესა. ის ავტორია ისეთი ცნობილი პიესებისა, როგორიც არის: „კაკალ გულში“, „ნინოშვილის გურია“, „ჩატეხილი ხიდი“ და უკანასკნელ დროს დაწერილი პიესა „ნაპერწკლიდან“.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ყველასათვის ცნობილი, ლამაზი ენით დაწერილი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ და ბევრი სხვა მხატვრული ნაწარმოები.

შალვა დადიანი დღეს განსაკუთრებული ენერგიით მუშაობს ახალ-ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად. მისი ენერგია გააასკეცა იმ უდიდესმა მზრუნველობამ, რომელსაც იჩენს მისდამი პარტია და ხელისუფლება.

შალვა დადიანი 45 წლის მანძილზე თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით დაუღალავად ემსახურებოდა ხალხს, და ამიტომ ხალხმაც დააფასა მისი ამაგი.

თუ რაოდენი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა ქართველ ხალხში დღეს უკვე თმაშეეერცხლილმა საბოგადო მოღვაწემ, ჩანს იქიდანაც, რომ ის არჩეულ იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

დღეს მისი მოღვაწეობის 45 წლის თავს ზეიმით შეეგება საქართველოს მოსახლეობა: მიმდინარე წლის 31 იანვარს მსახიობსა და რეჟისორს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, მწერალსა და დრამატურგს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გადაუხადეს იუბილე. საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია უდიდესი სიყვარულით შეეგება სახელოვან იუბილარს.

შალვა დადიანი

კიკოს ნაამბობი



კიკო მშვენიერი ჭაბუკია. ჩემიც კარგი მეგობარია. საუცხოო საუბარიც იცის.

ერთხელ კი აი რა მიამბო:

— გახსოვთ, ძია შალვა, ამასწინათ ვიოლინოს ახალგაზრდა დამკვრელის, სორტელის კონცერტი რომ იყო?

— მახსოვს. სამწუხაროდ, არ დავსწრებივარ.

— სამწუხაროა. ო, რა მშვენიერი კონცერტი იყო! გაზეთებში წაიკითხე ქება ახალგაზრდა დამკვრელისა, და მოგეხსენება, მუსიკა როგორ მიყვარს... ვერ მოვისვენე, სანამ ბილეთები არ შევიძინე და დედასთან ერთად კონცერტზე არ წავედი.

— მერმე?

— მერმე აი რა მოხდა: როგორც კი სცენაზე გამოვიდა ახალგაზრდა ხელოვანი, გული როგორღაც უცნაურად ამიძგერდა. ყმაწვილის სახე თითქო მეცნაურა, მაგრამ გაისმა დამატყვევებელი სიმთა ბგერა და ერთხანს ამან დამიპყრო. თუმცა ყმაწვილის სახე მაინც არ მასვენებდა და დედას წავჩურჩულე:

— დედა, დედა, ხედავ?

დედამ ძლივგასაგონად დამტუქსა:

— როგორ შეიძლება კონცერტის დროს ხმის ამოღება... ჩუმად!

ეს მეც ვიცოდი და მეწყინა, რომ ამის გამო შენიშვნა მივიღე, მაგრამ დედა მართალი იყო, და დავჩუმდი.

კვლავ საოცარი ხმები კლასიკოსებისა—შუბერტისა, გრიგისა, თვით ბეთხოვენისაც. აგერ განთქმული ესპანური საცეკვაოები პაბლო სარატესი.

რა ვირტუოზი ყოფილა ეს ახალგაზრდა სორტელი!

მაგრამ სახე, სახე მეტად ნაცნობი, მეტად მახლობელი... ნუთუ ის არის?

ანტრაქტამდის თავი შევიკავე, როგორც იყო, მხოლოდ აქ კი გავუმჟღავნე დედას:

— დედა, ეს ხომ ჩვენი ფასოა. აი, ჩვენ სოფელში ობოლი ბიჭი რომ იყო. ხომ გახსოვს, შენ მოგწონდა მისი ფანდურის დაკვრა.

დედამ არ გაიზიარა ჩემი მოსაზრება. ვერც მსგავსება რამ უპოვა ამ განთქმულ ახალგაზრდასა და იმ სოფლის მეფანდურეს.

დაიწყო კონცერტის მეორე განყოფილება.

რამდენიც მეტად ვუკვირდებოდი ახალგაზრდა არტისტს, იმდენად მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ეხლა გამოჩენილი სორტელი ჩემი სოფლელი, მეფანდურე-მწყემსი ფასუა-ბიჭი იყო.

მთელი ღამე არ მიძინია. მეჩქარებოდა როგორმე შემემოწმებინა სინამდვილე და დილამდის მოუსვენრად ვიყავ.

დილით კი გავექანე იმ სასტუმროსაკენ, საცა სახელოვანი მემუსიკე იყო ჩამომხტარი.

მიმიღო.

მაგრამ ვერ მიცნო.

ბოლოს ყოველივე გამოირკვა: მართლა ფასო იყო და თვითონაც ძალიან გაეხარდა თავისი სიყრმის მეგობრის ნახვა.

გავიხსენეთ ჩვენი ბავშვობა: ოთურმას თამაში, რიკტაფელა და... მისი საუცხოო დაკვრა ფანდურზე, სამწყესურიდან ნახირს რომ მორეკდა სოფელში, დააბინავებდა და შემდეგ ჩვენთან, მის ტოლებთან ჩამჯდარი ფანდურს რომ ააჟღერებდა. ბოლოს დოლზედაც რომ დასცხებდა და ბავშვებს დიდხანს, დიდხანს განუწყვეტლივ გვაცეკვებდა.

რა საყვარელი იყო ყველა ჩვენთვის, რა კარგი სამეგობრო!

მერმე კი ცხოვრებამ გაგვყარა. მე სასწავლებლად წამოველ ქალაქს, მწყემსი მეფანდურე კი თვალთაგან მომეფარა და აღარა ვიცოდი რა მისი თავგადასავლისა.

ეხლა კი მიკვირდა, რომ სოფლის ტლუ[illegible]ბიჭს შესანიშნავ მემუსიკედ ვხედავდი.

ეს გაკვირვება გავუზიარე კიდეც.

— მეც მიკვირსო,—ღიმილით მითხრა,—თუმცა როცა ჩემ ამბავს გაიგებ, გასაკვირვი არაფერიაო და...

მოყვა.

— გახსოვს, ჩვენ სოფელში ერთი ძალხაზი კომკავშირელი რომ იყო, სიმონი. შენს შემდეგ ის დამიახლოვდა ძალიან, იმან შემაგულიანა, ჩვენმა კოლმეურნეებმაც მხარი დაუჭირეს, მწყემსობიდან გამათავისუფლეს და სასწავლებელში მიმცეს.

— მერმე და ესეთი ხელოვანი როგორ შეიქმენ?

— აი ეგ არის კიდეც ჩვენი დროის მშვენიერება, რომ ადამიანის ნიჭი არ [illegible]იკარგება თურმე. სასწავლებელში შეამჩნიეს ჩემი მუსიკისადმი მიდრეკილება, იქიდან მუსიკალურ ტექნიკუმში მოვხვდი. ტექნიკუმიდან კი ერთმა რუსმა მასწავლებელმა, რაკი თვითონაც ლენინგრადს გადაჰყავდათ, მეც თან წამიყვანა. ლენინგრადში კი იმდენი უნარი გამოვიჩინე, რომ, როგორც ხედავ, გვარიანი მუსიკოსი შევიქენი.

— ჰმ... გვარიანი კი არა, შესანიშნავი ხარ...

— ამბობენ... — კვლავ სათნოდ გაიღიმა. — მხოლოდ ჯერ კიდევ ბევრი მაკლია, რომ შესანიშნავი ვიყო, ჯერ კიდევ ბევრი მეცადინეობა და ვარჯიში მჭირდება, რომ საბჭოთა ქვეყნის ღირსეული ხელოვანი ვიყო. მე მინდა ჩემი მუსიკა, ჩემი შესრულება ვიოლინოზე ეხმარებოდეს ჩვენი ბედნიერი თაობის გმირული სულის გამტკიცებას, გამხნევებას, აღმაფრენას. ამაში კი ჯერ ვერა ვარ მთლად გამართული...

ამ უეცრად შეწყვიტა. შემდეგ ესე განაგრძო:

— ერთი რამ მენატრება ძალზე. მინდა ჩემი პირველი ხელმძღვანელი, კომკავშირელი სიმონი ვნახო, ის კაცი, რომელმაც დამაყენა ამ გზაზე. ის კოლმეურნეები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ჩემს აღზრდას და კაცი გამხადეს... ამ დღეებში მივდივარ კიდეც ჩემს სოფელში. კიკო! შენ კი არ წამომყვები?



კიკოსაც ძალიან გაეხარდა, ფასოს წინადადება სიხარულით მიიღო. მხოლოდ სიმონის შესახებ კი აცნობა, რომ ის უკვე ჩვენს უნივერსიტეტში დოცენტად მუშაობდა.

— იმ დღესვე მოვძებნეთ სიმონი, და უნდა გენახათ, ეს ჩვენი დროის ორი ადამიანი როგორის სიხარულით შეეგება ერთიმეორეს!—დაასრულა ჩემმა მეგობარმა კიკომ თავისი ამბავი.

ამ დღეებში კიკო და სახელოვანი მემუსიკე მიეშგზავრებიან კოლმეურნეებთან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ქლენგი

გივის სახუქარი

ზამთარია, მზიან დარებს
გაზაფხულის პირი უჩანს,
ცა, კამკამა ლაჟვარდებით
შეფერილი, ბრწყინავს ლურჯად.

ყოველ დილით, შუბლგახსნილი,
სკოლისაკენ მიდის გივი;
ლექსებს მღერის, მის ნორჩ გულში
სიხალისე მუდამ ღვივის.

წიგნი არის გივის ფიქრი,
არ ასვენებს კიდევ რაღაც...
დღეს მეხუთე დღე იქნება,
თვითმფრინავზე ფიქრობს ახლაც...

გააკეთებს ლამაზ ფრთებით,
შეღებავს და თანაც მორთავს;
სურს თებერვალს რომ მიუძღვნას
თვითმფრინავი ასე კოხტა.

მზად აქვს ხერხი, შალაშინი
და ფიცრების მთელი გროვა...
— ჩქარა, თორემ ოცდახუთი
თებერვალი მალე მოვა...

ფრთა გაშალა, ახლაც ფიქრში
სად არ იყო, რა არ ნახა,
აფრინდა და თვითმფრინავით
გალმა მთები გადალახა.

დაქრის, ფრენით მოიარა
ტყე, მინდორი, მთა და ველი...
ფრინველებთან ისაუბრა
და ბელადზე ლექსებს მღერის.

...მორჩა გივი, ცეკვა-ხტუნვით
იქ სწორებთან გაჩნდა უცებ,
თვითმფრინავი გააფრინა,
ხელებს შლის და მაღლა უცქერს...

უხარია, სიხარულის
ფერი უვლის გივის სახეს,
დგას ბავშვებში, და ნიავი
თვითმფრინავზე დროშას არხევს.

თვითმფრინავი კოხტა არის,
მას წარწერა უნდა მხოლოდ,
ვარსკვლავებით დაამშვენებს
შუაში და ფრთების ბოლოს.

აივანზე გაბმულ მავთულს
არ სცილდება გივის თვალი,
თვითმფრინავზე წითლად ბრწყინავს
„ოცდახუთი თებერვალი“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ნაკაშიძე

უღუ და თეთ



(გაგრძელება)*

ნელი ნაბიჯით ჩავიდნენ ისინი ბილიკით ხევში, აჰყვნენ ჩხერიჩხერას ტყიან ნაპირს, იქ, სადაც დიდი მომსკდარი ხე ხიდად გასდებოდა მას ერთი ნაპირიდან მეორეზე. ჩხერიჩხერა აქ ვიწრო კალაპოტში იყო მომწყვდეული, ხმაურით აწყდებოდა დიდ ლოდებს და, ტალღებად ავარდნილი, დაფშვნილი ცვიოდა ძირს თეთრად აქაფქაფებული. უღუ და თეთ გავიდნენ გაღმა და შეუდგნენ ჯაგებიან კლდოვან აღმართს. ავიდნენ გორაზე და გადმოიხედეს მღვიმისაკენ. შორს მოჩანდა იმათი მღვიმის შავი ღია პირი. მღვიმის წინ იდგა ჰოპ თვალებზე ხელმოჩრდილული და გაფაციცებით ათვალიერებდა ირგვლივ მიდამოს. უღუსა და თეთს კიდევაც მოესმათ იმისი მუქარის ყიჟინა. ჰოპ ერთხანს იდგა და შემდეგ მუშტებმოღერებული გამოიქცა ბილიკზე. უღუ და თეთ შეშინებულნი წამოხტნენ და გაიქცნენ.

დიდხანს მირბოდნენ ისინი ჯაგებში აღმართზე, დაღმართში, ეკალსა და ბარდში უგზოუკვლოდ, ტანი და ფეხები მთლად დაკაწრული და გასისხლიანებული ჰქონდათ, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მათ არ იცოდნენ რამდენ ხანს მირბოდნენ და ვერც კი გაიგეს, როგორ გაჩნდნენ უდაბურ ტყეში.

ირგვლივ თვალუწვდენელი ხეები აზიდულიყვნენ ცამდის და უზარმაზარი გაშლილი ტოტებიდან ეშვებოდა მწვანე ხავსის ფართე ფარდები. დედამიწაზე კი გაშლილიყო ხავსის მწვანე ხალიჩა და ფეხები რბილად, ღრმად ეფლობოდა შიგ.

აქოშინებული თეთ მოწყვეტით ჩამოჯდა წაქცეულ ხის ჯირკზე. უღუ კი იდგა და უცქეროდა მას, ისიც აქოშინებული და დაღონებული. — ოო, უღუ, ჩვენ ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ ნენს, — წასკდა უცებ თეთს ცრემლები და აქვითინდა.

— ეს რა არის, თეთ? წვიმა? — წარმოთქვა გაკვირვებულმა უღუმ, დაიხედა ძირს, აიხედა მაღლა და მიიხედმოიხედა ირგვლივ. ხშირ ფოთლებში ჩამავალი შზის სხივები იჭვრიტებოდა და მხიარულად დახტოდა აქა-იქ მწვანე ხავსზე. — საიდან არის წვიმა?

— ოო, უღუ, ჩემი თვალებიდან მოდის წვიმა. ოჰ, უღუ, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვნახავთ ვერც ბეს, ვერც პატარა ძმას...

— წვიმა თვალებიდან? მე არასოდეს არ მინახავს არც ბას, არც ნენს, არც ბეს თვალებიდან... და უღუ დაჯდა დის გვერდით. — არასოდეს აღარ გაჩერდება?

— ოჰ, არ ვიცი, არ ვიცი, უღუ, მე მინდა ნენ...

— აბა, სინჯე, იქნებ გაჩერდეს, თეთ. შეხედე მზეს, როგორ დახტის ხავსზე... ჩვენ წავიდეთ, თეთ, პასთან ძველ მღვიმეში...

— არასოდეს, უღუ, არასოდეს! — წამოხტა თეთ, — შენ არ გახსოვს, როცა მოვდიოდით, ბამ რომ წამოგვიყვანა, როგორ დაგვემუქრნენ: თუ აქ დაბრუნებული გნახეთ, მოგკლავთო!? იმათ ხომ არ უნდოდათ წამოვსულიყავით... იმათ უნდოდათ ყველას ერთად გვეცხოვრა...

უღუმ თვითონაც მოიგონა წამოსვლის ამბავი და გაახსენდა, როგორ უნდოდათ პასაც და ყველას, ვინც იქ დარჩნენ, რაც შეიძლება მეტი ხალხი ყოფილიყო მღვიმეში, ბასავით ღონიერი და გამბედავი, რომ გამკლავებოდნენ ყოველნაირ გასაჭირსა და მტრებს. უღუ დაღონებული იჯდა თავჩაღუნული.

თეთ იდგა გამშრალი თვალებით, აღშფოთებული და აღელვებული უმტკიცებდა, რომ მღვიმეში პასთან წასვლა შეუძლებელია, რომ იქ მოკლავენ მათ.

— ჰო, თეთ, ბა რომ ყოფილიყო ჩვენთან, ის საძაგელი ჰოპ ვერ მოგვერეოდა... — ორივენი დაჩუმდნენ და უღუმ ისევ შეხედა დას. — წვიმა აღარ მოდის, თეთ, შენი თვალებიდან... მეტი აღარ მოვა?

— ოჰ, უღუ, დაჩუმდი, თორემ ისევ წამოვა.

თეთმა მჯიღით ამოიწმინდა თვალები.

ისევ დაჩუმდნენ. მზის თინათინები აიკრიფა ხავსიდან. ბნელდებოდა, ცა აღარ მოჩანდა ხშირ ფოთლებში. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ სადღაც შორს ბუ გაჰკიოდა მწუხარედ და მას ეხმარებოდა მეორე ბუს ასეთივე მწუხარე კივილი. სადღაც მათ ახლოს მგლის თვალებივით ანათებდა მწვანედ დამპალი ფუტურო. სადღაც შორს გაისმა რაღაცა მხეცის საზარელი ხრინწიანი ხარხარი.

* იხ. „პიონერი“ № 11 და 12 1938 წ. № 1 1939 წ.

თავზარდაცემული უღუ და თეთ წამოცვივდნენ და გაიქცნენ დიდი მუხისაკენ, სწრაფად ავარდნენ ზედ და ჩაცუცქდნენ მის ტოტებში.

საშინელი ღამე გაატარეს ხეზე. თუმცა ყოველნაირ გასაჭირს იყვნენ შეჩვეულნი, მაგრამ ახლა ისინი გრძნობდნენ, რომ მარტოდმარტონი, უმწეონი დარჩნენ. ამ დიდ საშინელებით სავსე ტყეში პატარები, მათ იცოდნენ, რომ არც ნენთან, არც ძველ მლვიმეში დაბრუნება არ შეიძლებოდა. არ იცოდნენ, არის თუ არა იმათ გარდა ვინმე ამ ქვეყანაზე. ეს ტყე კი სავსე იყო მხეცებით, რომლების შიშით ისინი კანკალებდნენ მუხის ტოტებში ჩამალულნი და იმათ პატარა თავებში რაღაცა ახალი, უჩვეული, ბუნდოვანი გრძნობა და აზრი დაფუსფუსებდა.

ყველაფერი ჩაშავდა ირგვლივ. ბუებიც ჩაჩუმდნენ, მაგრამ იმათ ესმოდათ, როგორ გამოვიდნენ ახლა სანადიროდ მხეცები, რა გაბოროტებით მისდევდნენ ერთი მეორეს. რამდენჯერ გაირბინეს მუხის ქვეშ! ესმოდათ რომელიმე მხეცის გაშწარებული ღმუილი,



საშინელი ღამე გაატარეს ხეზე.

ჯაგების ლაწალუწი, კბილების კრაჭუნი და ხრაჭა-ხრუში. ბევრჯერ გაუფრინა მათ ცხვირწინ რაღაცა შავმა, უსიამოვნო, თითქმის სოველმა ფრინველმა, თუ რაღაც ჯოჯომ. ბნელაში ისინი ვერ არჩევდნენ რა მხეცები იყვნენ. იცოდნენ მხოლოდ, რომ დათვის მეტი ვერცერთი მხეცი ვერ გავიდოდა ხეზე, და დათვი კი, თუ ჩუმად ხარ, ხელს არ გახლებს. მუხის ტოტში მიყუჟულნი, ისინი მაგრად მიჰკროდნენ მუხის დიდს და ძალუმ ტანს.

ინათლა. მხეცების ბრძოლა მიწყდა. ტყე აშრიალდა, ფოთლებმა იწყეს ცვენა. აქა-იქ რაღაც ფრინველები უსტვენდნენ და ხეებზე სუროთი და ფითრით შებარდნილ ტოტებში დახტოდნენ. მუხის ქვეშ გაირბინა რუხმა ყურცქვიტამ. შეჩერდა, ჩაცუცქდა უკანა ფეხებზე, ყურები ცქვიტა, წამოხტა და მოუსვა ჯაგებისაკენ. საიდგანღაც გამოვიდნენ დედა და მამა ღორი, მოზრდილი გოჭებით და მუხის ქვეშ ჩამოცვივნულ რკოს კნატუნი აუტეხეს, კარგახანს აკნატუნებდნენ ისინი რკოს, ჩიჩქნიდნენ მუხის ძირს მიწას და ღრუტუნებდნენ.

თეთსა და უღუს შიოდათ, უნდოდათ ერთი გოჭი დაეჭირათ, მაგრამ ეშინოდათ მამა-ღორის გრძელი და მახვილი ეშვებისა, ისხდნენ წყნარად მუხაზე და თვითონაც აკნატუნებდნენ რკოს, თუმცა ისეთი ხალისით კი არა, როგორც ღორები. ბოლოს ღორები ღრუტუნით გაიქცნენ მხიარულად.

უღუ და თეთ ჩამოვიდნენ.

— ახლა რა ვქნათ?

— ახლა ჯოხები მოვტეხოთ, უღუ.

და მათ მოტეხეს დიდი კეტები და დაიკავეს ხელში.

— ახლა წავიდეთ ვნახოთ, იქნება ჰოპ სანადიროდ წავიდა...

— და ნენ და ბე ვნახოთ? — თქვა უღუმ.

ისინი გაიქცნენ ტყეში, ბევრი ირბინეს ჯაგებში, ხავსზე, ჩამოცვივნულ ფოთლებში, რომლებსაც შარიშური გაჰქონდათ ფეხქვეშ. დაიკაწრნენ, დაიღალნენ, მაგრამ ტყიდან ვერსად გავიდნენ.

— შორს წამოვსულვართ, უღუ, ჯერ რამე ვჭამოთ, ერთი პატარა ღრუტუნა დავიჭიროთ, აი, ხედავ, ერთი ჩამორჩა დიდებს.

უღუმ ქვით მოკლა ერთი ღრუტუნა. მაშინვე დასხდნენ, გაგლიჯეს და ჭამეს. რაც ვერ შეჭამეს, იქვე ხეზე დაკიდეს, დატოვეს და წავიდნენ. მოწყურდათ, მაგრამ წყალი არსად ჩანდა, და გასწიეს საძებრად. გავიდნენ ერთ პატარა, მწვანე, დაფერდებულ მინდორში, რომელიც გადასერილი იყო ცხოველების ბილიკით. ბილიკმა ისინი პატარა ღელეში ჩაიყვანა. დალიეს წყალი და დაისვენეს. ღელის წყალი ნელა მირაკრაკებდა ტყის სიჩუმეში. ირგვლივ უზარმაზარი წიწვიანი და ფურცლოვანი ხეები აზიდულიყვნენ თვალუწვდენელ სივრცეში. არც ერთი სულიერი არ მოჩანდა ირგვლივ, თითქოს ფოთლებიც კი არ ინძრეოდნენ ხეებზე, და დასასრული არ უჩანდა ამ ჩუმსა და უზარმაზარ ტყეს. უღუმ

და თეთმა არ იცოდნენ საით წასულიყვნენ და ქვაზე ჩამოსხდნენ ღელის პირას.

— თეთ, რა კარგი იქნებოდა აქ ცხოვრება!

— აქ, უღუ?! — შეშინდა თეთ.

— აბა შეხედე, რა ხეებია, თეთ, აშოლტვილი! პატარა რაკრაკა ღელე... მაგრამ ეს რა არის?

ხეებში გამოვიდა რაღაცა ორი დიდი ცხოველი, ორფეხა და თეთრი, უფრო ფრინველის მსგავსი, თუმცა ფრთები სრულიად არ ჰქონდათ. გრძელი კისრები მოეღერებინათ, ყვითელი ფართე ნისკარტი მაღლა აეწიათ და ბაჯბაჯით მოდიოდნენ აუჩქარებლად[1]. თეთსა და უღუს წინ ჩაუარეს, მაგრამ როდი შეშინებიათ, ცალი თვალი მაღლა ასწიეს და ისე შეხედეს. შემდეგ ისევ წყნარად გასწიეს. ჩავიდნენ ღელეში, ერთხანს სვამდნენ წყალს, შემდეგ ჩასხდნენ კიდევაც წყალში, თავებიც ჩაყურყუმალეს. კარგახანს შემდეგ ამოვიდნენ, გაიბერტყეს ტანი და ისევ ისე აუჩქარებლად გასწიეს იქითკენ, საიდანაც მოვიდნენ. უღუსა და თეთს არასოდეს არ ენახათ ასეთი ცხოველი, გაკვირვებულნი უცქეროდნენ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხოველები ტყის სიღრმეში მიიმალნენ, წამოხტა თეთ:

— რომ არ დავიჭირეთ?

— ჩვენ ხომ შენახული გვაქვს ღრუტუნას ხორცი.

და ორივენი გაიქცნენ ღრუტუნას ხორცის საჭმელად, ძებნეს, ძებნეს, მაგრამ ღრუტუნას ხორცი რომ დაჭკიდეს, ის ხე ვეღარ იპოვნეს. საძაგიეროდ ტყეში ბლომად იყო რკო და თხილი, დარბოდნენ წვრილფეხა ცხოველებიც, ხის მსუქანი მატლები დაფუსფუსებდნენ დაფუტუროებულ ხეებში და მრავალი მსუქანი ხოჭო დაცოცავდა რბილ ხავსში. ხეების ქვეშ ამოსულიყო უამრავი მაღალი, გემრიელი სოკო, და, რასაკვირველია, საჭმელი არ აკლდათ. მაგრამ ტყე თავზარს სცემდა მათ, და იმათი გონება იქით იყო მიმართული, როგორმე გასულიყვნენ ტყიდან.

მოახლოვდა საღამო, და ისევ ხეზე უნდა ასულიყვნენ ღამის გასათევად.

თანდათან აცივდა. ქარი ცივად ქშიტინებდა, ფოთლები უფრო სწრაფი ფრიალით ცვიოდა ხეებიდან. ხილი თანდათან მოილია. განსაკუთრებით გაუჭირდათ მათ, როდესაც მაღლა მთაზე ამოყვეს თავი. ხშირად ასხამდა ცივი წვრილი წვიმა და ნემსებივით ესობოდა იმათ ტიტველა ტანს, ასველებდა უფურცლო ხეებს და შეუძლებელი იყო სოველ, ასრიალებულ ტოტზე მოსვენებით ჯდომა. მხეცებიც ამისთანა ღამეში განსაკუთრებით გაბოროტებული დაძრწოდნენ და გლეჯდნენ ერთმანეთს. მთელი ღამე ისმოდა მათი სირბილი, ყმუილი და ხეების ლაწალუწი და მაინც თითქოს ყველაფერი სიჩუმეში ინთქებოდა, თითქოს ჩამიჩუმი არ ისმოდა ირგვლივ შავ წყვდიადში. საშინელი ღამეები იყო. ერთხელ დილით, ოდნავ ინათლა თუ არა, მათ შემოესმათ ხეების მტვრევა. ვიღაცა თუ რაღაცა მორბოდა თქარათქურით. უღუმა და თეთმა დანახეს ვეება ირემი, უზარმაზარი ჩხებიანი რქები ზურგზე გადაეწყო და მორბოდა თავაწეული, თავზარდაცემული, შეშინებული თვალების ტრიალით, ენაგამოგდებული. უკან მოსდევდნენ მგლები ნაკვერჩხალივით ანთებული თვალებით. უცებ ირემი გაჩერდა გამწარებული, მისი ვეება რქები გაიხლართა ხეებში და ვეღარ გამოატია ისინი. სწორედ ამ დროს მივარდნენ მგლები, მაგრამ ირემმა დაუშინა მათ წიხლი და შორს გადისროლა მტრები, ერთი კი ზურგზე შეახტა. მაშინ ირმის სასოწარკვეთილმა კივილმა გაკვეთა ტყის სიჩუმე და გაისმა ჭექასავით ქახანი. ირემი გამოხტა ხეებიდან და გაქანდა, ხეზე დატოვა თავისი ცალი ჩხებიანი ვეება რქა.

— გადარჩა! — აღმოხდა თეთს გულიდან. — ისევ გამოუდგა მგლების ხროვა!

— ვერ დაეწევიან, ხედავ, რა შორს არის?

— რა დიდი იყო!

— და რა ლამაზი! — დაუმატა უღუმ.

თეთმა გაკვირვებით შეხედა ძმას.

— სისხლი რომ მოასხამდა მოტეხილი რქიდან, ლამაზი იყო?

— არ ვიცი, მაგრამ მთლად დიდი ირემი რომ იბრძოდა... — უღუ დაჩუმდა.

ასე გაატარეს თეთმა და უღუმ ბევრი დღე და ღამე ტყეში, ხოლო რამდენი — თვითონაც არ იცოდნენ. მხოლოდ დილით, როდესაც მიწყდებოდა მხეცების საშინელი ნადირობა, ჩამოვიდოდნენ ხიდან, ჩაეხვეოდნენ ხმელ ფოთლებში და დაიძინებდნენ. გაიღვიძებდნენ თუ არა, ისევ შეუდგებოდნენ ტყიდან გამოსასვლელი გზის ძებნას.

და აი ერთ დღეს საშინელი ხმაურობა და ყვირილი მოესმათ. ერთ წუთს შეეშინდათ, მათ მოაგონდათ ჰოპ, მაგრამ მაინც მოიმარჯვეს ხელში კეტები და გაიქცნენ, საითკენაც ხმაურობა ისმოდა, და უცებ ტყიდან კი გავიდნენ. მათ წინ გადაშლილიყო ვეება მწვანე ტაფობი, სადაც მარცხნით და მარჯვნით ეშვებოდა დაღმართი. მთაგორიანი ადგილები, იმათი მღვიმის გორასავით, ჯაგებით იყო დაფარული და ბილიკები სერავდა. ყიჟინა სწორედ მარცხენა დაღმართიდან მოდიოდა. საკვირველი და საშინელი სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ თეთსა და უღუს. ტყავებით შემოსილი, ცულებითა და კეტებით შეიარაღებული მკვრივი ვაჟკაცნი ერთმანეთს ურტყამდნენ ქვის ცულებსა და კეტებს, უწყალოდ ხოცავდნენ ერთმანეთს. თეთსა და უღუს არასოდეს არ უხახავთ ამდენი ხალხი ერთად, იმათ არც იცოდნენ, რომ ამდენი ხალხი იყო სადმე ქვეყანაზე. მათ რომ დათვლა სცოდნოდათ, დაითვლიდნენ, რომ აქ ორმოც-ორმოცდაათი კაცი თუ იყო, მეტი არ იქნებოდა, მაგრამ არც დათვლა იცოდნენ და არც უნახავთ ერთად ოცდაათი-ორმოცი კაცი, არც იცოდნენ, რომ აქ ორ ტომს ჰქონდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, და განცვიფრებულნი შესცქეროდნენ. მათ ვერ გაეგოთ, რისთვის უჩეხდნენ თავებს ერთმანეთს ერთნაირად თმა-

[1]) ქვის ხანაში ცხოვრობდა ბატისებური ცხოველი, რომელიც ამოწყდა.

აბურძგვნილი, მზისაგან გარუჯული ადამიანები. ისინი ხედავდნენ, როგორ მარცხდებოდა ერთი ნაწილი, როგორ ცვიოდნენ უსულოდ თავგაჩეხილები, როგორ იხევდნენ ტაფობში დამარცხებულები და ყვირილითა და ყიჟინით მისდევდნენ გამარჯვებულები. გამარჯვებულებს არ უნდოდათ ცოცხალი გაეშვათ თუნდაც ერთი დამარცხებული. ისინი ყვირილით და იარაღის ჩახაჩუხით ჩამოვიდნენ ტაფობში. აქ ცოტახანს შეჩერდნენ. დამარცხებულებმა მოიკრიბეს უკანასკნელი ძალღონე, მოუბრუნდნენ და ეკვეთნენ გამარჯვებულებს, მაგრამ ისევ იძლივნენ.

არც ერთი დამარცხებული აღარ გადარჩა ცოცხალი. ჰაერი მოიცვა გამარჯვებულების ყიჟინამ, და გაჩაღდა მკვდრების გარშემო ბუქნა-თამაში.

მხოლოდ ერთადერთი გადარჩენილი მორბოდა სერზე ხელების ქნევითა და მუქარით. ეს ერთადერთი იყო წვრილი, მაღალი, ცოტათი უღუზე დიდი ბიჭი. სერს რომ შემოუდგა, ტაფობში მოჰკრეს თვალი და მდევარი გამოუდგა.

ბიჭი ქარივით მოქროდა, მაგრამ მდევარი ვაჟკაცი ღონიერი ჩანდა და ისიც თავგამეტებით მოქროდა.

ბიჭმა ამოირბინა სერი და ტყის კიდეზე დაინახა უღუ და თეთ. უცებ შეჩერდა, და სწორედ ამ დროს მოხვდა ზურგში მდევრის გამოსროლილი ქვა და სწორედ უღუსა და თეთის ფეხებთან დაეცა უსულოდ.

უღუმა და თეთმა წამოუსვეს ქვებს ხელი და ყიჟინით დაუშინეს მდევარს. მდევარი შეშინდა, მოტრიალდა და გაიქცა.

თეთმა და უღუმ ასწიეს ბიჭი და ხეს მოაფარეს, თვითონაც მოეფარნენ, რომ მდევრები არ გამოჰკიდებოდნენ.

გამარჯვებულები კარგახანს ცეკვავდნენ, გაჰკიოდნენ და ყაყანებდნენ მინდორში. შემდეგ გახადეს მკვდრებს ტყავები, აართვეს იარაღი, ყველაფერი წაიღეს და წავიდნენ ბილიკებით.

ბიჭი თანდათან მოვიდა გრძნობაზე. შავი ხუჭუჭი თმა გადმოსცვენოდა შუბლზე. ტანზე თხის ტყავი ეცვა და თხის ტყავისვე თასმა ჰქონდა წელზე შემოჭერილი. თასმაზე თხის დიდი რქა ეკიდა.

მოვიდა თუ არა გრძნობაზე, ბიჭი მაშინვე წამოჯდა და როდესაც უღუ და თეთ დაინახა, წამოხტა და გაქცევა დააპირა.

— დაჯექი, — უთხრა თეთმა და გაიცინა.

— რატომ მირბიხარ? ჩვენი ნუ გეშინია, — უთხრა უღუმ და მხარზე ხელი დაადვა. ბიჭი მიხვდა, რომ ეს ორი მისი ტოლი მისი მტრები არ არიან, და გაჩერდა.

— ვინა ხართ? — იკითხა მან, მაგრამ უღუსა და თეთს მისი ლაპარაკი არ ესმოდათ.

უცებ ბიჭმა მოიხედა და მარცხენა გორაზე დაინახა ნადავლით დატვირთული მტრები. შავი თვალები რისხვით დაატრიალა, მოსწყდა ადგილს და მუშტებმოღერებული გაექანა მტრებისაკენ, მაგრამ თეთმა და უღუმ თვალის დახამხამების უმალ მაგრად ჩაჰკიდეს ხელი.

— ისინი ბევრი არიან!

— ისინი ხომ შენი მტრებია! — ერთხმად ეუბნებოდნენ უღუ და თეთ.

— მე იმათ ვაჩვენებ, მე იმათ დავხოცავ ყველას! იმუქრებოდა იგი.



უღუმ და თეთმა წამოუსვეს ქვებს ხელი და ყიჟინით დაუშინეს მდევარს.

— რა იყო, რისთვის დახოცეს ერთმანეთი? — ეკითხებოდნენ უღუ და თეთ, მაგრამ ბიჭს არაფერი ესმოდა, და ვერც უღუ და თეთ მიმხვდარიყვნენ, რას ამბობდა ბიჭი.

ბოლოს ნიშნებით მიახვედრა ბიჭმა, რომ მარცხნით, მთის გადაღმა, ცხოვრობდა იგი თავის ტომთან ერთად და...

ერთ ღამეს, როცა ყველას გვეძინა, — ამბობდა ბიჭი, — თავს დაგვესხა უფრო მრავალრიცხოვანი ტომი, რომელსაც არ ჰყოფნიდა საცხოვრებლად პატარა მღვიმე, და ამოწყვიტა მძინარე დიდი და პატარა, ვინც გაღვიძება მოასწრო, ისინიც ველარ გაუმკლავდნენ, თუმცა გულადად იბრძოდნენ, და დამარცხდნენ. გამარჯვებულებმა ამოწყვიტეს ყველა და ახლა მარტო მე გადავრჩი.

— ჩვენც გამოგვრეკეს! — თქვა დაღონებულმა უღუმ.

— და ტყეში კინაღამ დავიკარგეთ, — დაუმატა თეთმა.

უცებ მათ წინ ხტუნვახტუნვით გაირბინა კურდღელმა. თეთ მოსწყდა ადგილს, გამოეკიდა, დაიჭირა და მოიყვანა.

ბიჭი გაკვირვებული შეჰყურებდა თეთს.

— ოჰ, შენ ჩემზე უფრო მარდად დარბიხარ, — უთხრა მან.

— სამაგიეროდ უღუ ხელმარდია.

კურდღელი ქვით მოკლა უღუმ, გაატყავა და ჭამეს.

— ცეცხლი, ცეცხლი, — ანიშნებდა ბიჭი, რომ შეეწვათ ხორცი, მაგრამ სად იყო ცეცხლი?

— მე თეთ ვარ, — მიიდვა გულზე ხელი, — ეს უღუ. შენ? — ჰკითხა მას თეთმა.

ბიჭი მიხვდა.

— მე გოხ, გოხ, — მოიკიდა მან თავზე ხელი.

მოსალამოვდა, წვიმამ ცრა დაიწყო. ციოდა. ხეებზე შერჩენილი გაყვითლებული ფოთლები ცეკვით და ფრიალით ეშვებოდა ძირს. მხოლოდ წიწვიანი ხეები ბრწყინავდნენ მწვანედ.

ღამე სამივემ ისევ ტყეში გაათია ხეზე. გათენდა თუ არა, ჩამოვიდნენ ძირს. დილა მზიანი იყო.

— ახლა რა ვქნათ, უღუ? აქ ცივა.

— ოო, ჩვენი მღვიმე, — წარმოსქვა გოხმა, გაიხედა თავისი მღვიმისაკენ და შეშინებულმა წარმოთქვა: — ხედავთ, ჩვენ გვითვალთვალებენ, როგორ იყურებიან აქეთ!

მართლაც, რამდენიმე შეიარაღებული კაცი მოდიოდა გორიდან ხელების ქნევით ტყისაკენ.

— გავიქცეთ, — თქვა თეთმა.

— გავიქცეთ, მე ვიცი, სად არის მღვიმე დიდი მდინარე იოს ნაპირას, მთის გადაღმა გავიქცეთ!

და სამი მოზარდი უსახლკარო გაიქცა ჩირგვებში, რომ მტრებს არ შეეჩნიათ. სამივენი მხოლოდ ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი. გაიარეს ჩირგვები, მიჰყვებოდნენ ტაფობის კიდეს. გადაიარეს მთა და თავისუფლად ამოისუნთქეს. აქ მდევრების შიში აღარ იყო. გოხს უკვე ესმოდა უღუსა და თეთის ენა. იმათ ხომ ბევრი სიტყვა არ იცოდნენ აზრის გამოსათქმელად და გზაში რამდენიმე დღე საკმაო იყო იმის შესასწავლად, რაც იცოდნენ.

— ცული, ცული, ისეთი ცული მქონდა, — ამბობდა გოხ, — მაგრამ არა უშავს რა, აქ ახლოს კაჟის მთა არის, მე ვიცი გაკეთება. გავაკეთოთ ცულებიც და დანებიც.

— მე ვიცი, — თქვა უღუმ, — ბამ მასწავლა, — ჯერ მაგრად უნდა დაჰკრა კაჟს, რომ გასკდეს და ცალი მხარე უფრო თხელი გამოვიდეს, და შემდეგ ნელანელა გახეხო და გალესო.

გზადაგზა ბლომად იყო თაგვები, ხის ძირებში ხოჭოები, და ყოველთვის მაძღრები იყვნენ. წყაროსთან რომ მივიდნენ, რქით იღებდნენ წყალს და სვამდნენ.

— აი კაჟის მთაც! — დაიწყო გოხმა და გაიქცა გახარებული. უღუ და თეთიც სიხარულით მიჰყვებოდნენ.

კაჟის გორაკზე ძრავლად ეყარა დიდი და პატარა კაჟები. მაგრამ მაინც დიდხანს ეძებეს შესაფერი. დიდხანს ურტყამდნენ კაჟს კაჟზე, რომ გამოკვეთილიყო ცულები, და ბოლოს გააკეთეს სამი ცული და რამდენიმე დანა. ახლა საჭირო იყო ცულების ტარები. გამოჭრეს ტარები ხის ტოტებისაგან, გაუჩეხეს თავები და ჩასვეს შიგ ყუით ცულები, მაგრამ რით უნდა შეეკრათ? მაშინ გაიძრო გოხმა თავისი ტყავის სამოსი, გამოჭრეს კაჟის დანებით თასმები, მაგრად შეჰკრეს სამივე ცული და უფრო გაბედულად გასწიეს წინ.

მართალია, აქ ისე აღარ ციოდა. როგორც მთაზე, მაგრამ სიცივე მაინც აწუხებდათ.

— არა უშავს, — ამბობდა გოხ, — იქ, ზემოთ, იოს ნაპირას, კლდეებში ბუდობენ თხები. თხები დავიჭიროთ, ხორცი ვჭამოთ, ტყავისაგან კი ტანისამოსი გავიკეთოთ. ოჰ, ოჰ, რა მღვიმეები გვქონდა, ორი დიდი მღვიმე! აი ამდენი ვიყავით შიგ, — ორჯერ დააქნია ორივე ხელი. — ჩვენი მამამთავარი ამბობდა ვერავინ მოგვერევაო და, ჰმ, მოვიდნენ და ყველაფერი წაგვართვეს.

— ჩვენ მოვნახოთ, გოხ, ახალი მღვიმე.

— მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ სამი ვართ.

— სამი და პატარები, — ამბობდა უღუც.

— ხომ გავიზრდებით და გავივსებით ძალღონით, უღუ, — უთხრა მას თეთმა.

— გავიზრდებით. იარაღიც გვაქვს და ვიქნებით მდინარე იოს ნაპირას.

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაცეტიები

პოჯო იტალიელი მწერალია. ის დაიბადა 1380 წელს, გარდაიცვალა 1459 წელს. მან რამდენიმე წიგნი დაწერა, მაგრამ მათში ყველაზე შესანიშნავია „ფაცეტიები“. ეს წიგნი ლათინურ ენაზეა დაწერილი და 1452 წელს გამოიცა. სიტყვა „ფაცეტია“ ნიშნავს დაცინვას, ხუმრობას, მოსწრებულ სიტყვას. რუსულად „ფაცეტიები“ 1934 წელს გამოიცა. ქვემოდ ვათავსებთ პოჯოს რამდენიმე ფაცეტიის თავისუფალ-თარგმანს. ზოგმა მათგანმა გადალახა იტალიის საზღვრები და სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა.

ფაჩინო კანე და მომჩივანი

ფაჩინო კანე [1]) ძალიან ულმობელი ადამიანი იყო და ამავე დროს შესანიშნავი სარდალი. ერთხელ მისი ჯარისკაცი ქუჩაში დახვდა ერთ მოქალაქეს და პლაშჩი წაართვა. დაზარალებული მივიდა ფაჩინოსთან და შესჩივლა: ქუჩაში დამხვდა თქვენი ჯარისკაცი და პლაშჩი წამართვაო.



ფაჩინომ ახედ-დახედა მომჩივანს, რომელსაც კარგი ქურთუკი ეცვა, და ჰკითხა:

— ეგ ქურთუკი გეცვა თუ არა, როდესაც პლაშჩი წაგართვესო?

— დიახ, ეს მეცვაო, — მიუგო მომჩივანმა.

— გასწი აქედან! პლაშჩის წამღები ჩემი ჯარისკაცი არ არის: არც ერთი ჩემი ჯარისკაცი არ შეგარჩენდა მაგ ქურთუკსო, — დაუყვირა ფაჩინომ.

ვიჩენცელი მევახშე

ვიჩენცეში ერთ ბერს დიდ პატივს სცემდნენ. ის ხშირად ქადაგებდა ხნეობრივ სიფაქიზეზე.

ერთი მევახშე მას ხშირად ეუბნებოდა: ჩვენს ქალაქში ძალიან გავრცელებულია მევახშეობა. გთხოვთ უქადაგოთ ხალხს, რაც შეიძლება მჭევრმეტყველურად გალანძღოთ მევახშეები და დაჰგმოთ მევახშეობაო.

იმდენჯერ სთხოვა ბერს მევახშემ ამის შესახებ, რომ თავი მოაბეზრა. ერთხელაც ბერმა ჰკითხა:

— ასე თავგამოდებით რატომ მთხოვ მევახშეობის დაგმობას, მევახშეობა ხომ შენი ხელობაა, შენ ამით ირჩენ თავსო.

მაშინ მევახშემ მიუგო:

— ჩვენს ქალაქში ბევრი მევახშეა და ჩემთან ცოტანი მოდიან ფულის სასესხებლად. თუ შენი ქადაგება ბევრს დაარწმუნებს და ისინი ხელს აიღებენ მევახშეობაზე, მაშინ მათი შემოსავალიც ჩემ ჯიბეში მოხვდებაო.

[1]) XV საუკ. იტალიაში იყვნენ ე. წ. კონდოტიერები, დაქირავებული რაზმების უფროსები. ფაჩინო კანე ერთერთი ასეთი რაზმის უფროსი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლის დამმარხველი მღვდელი

— ტოსკანაში იყო ერთი მღვდელი, ძალიან მდიდარი. როდესაც საყვარელი ძაღლი მოუკვდა, მან იგი სასაფლაოზე დამარხა. ეს ამბავი გაიგო ეპისკოპოსმა, უნდოდა ფული დაეცანცლა მღვდლისათვის და დაიბარა, რომ დაესაჯა, როგორც საშინელი საქმის ჩამდენი. მღვდელმა კარგად იცოდა ეპისკოპოსის ხასიათი, წავიდა მასთან და თან წაიღო ორმოცდაათი ოქროს დუკატი. ეპისკოპოსმა დატუქსა ძაღლის დამარხვისათვის და ბრძანა ციხეში ჩააგდეთო. მაგრამ ეშმაკმა მღვდელმა უთხრა ეპისკოპოსს:

— მამაო, რომ იცოდეთ, რა ჭკვიანი იყო ჩემი ძაღლი, არ გაგიკვირდებოდათ, რომ მან დაიმსახურა ადამიანებთან დამარხვა. მას ადამიანზე მეტი ჭკუა ჰქონდა, როგორც სიცოცხლეში, ისე სიკვდილის მომენტშიც.

— რას ნიშნავს ეს? — ჰკითხა ეპისკოპოსმა.

— სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, — მიუგო მღვდელმა, — მან ანდერძი დაწერა და, ვინაიდან იცოდა თქვენი ხელმოკლეობა, ამ ანდერძით დაგიტოვათ ორმოცდაათი ოქროს დუკატი. მე ეს ფული თან ჩამოვიტანე.

მაშინ ეპისკოპოსმა მოიწონა ანდერძიც და დამარხვაც, მიიღო ფული და გაუშვა მღვდელი.

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა.**

ბროკენის აჩრდილი

1937 წლის ზაფხულის მიწურულში ავედით ყველასათვის ცნობილ მყინვარწვერზე.

ერთ საღამოს მთის კალთაზე ვიდექით. ქვევით, ასიოდე მეტრის იქით, იწყებოდა ჯანლის ფარდა, და ამ ჯანლის ფარდაზე, როგორც ეკრანზე, მოხაზული იყო უზარმაზარი ნათელი წრე. აქ წრეში მუქად ჩანდა ადამიანის სილუეტი. გაკვირვებისაგან გავცეცდი. ქუდი თვალებზე ჩამომეფხატა, ხელი გავიშვირე გასასწორებლად, და ნათელ წრეში იმ ბუმბერაზმაც ქუდზე წაივლო ხელი. ამ დროს წრეში მეორე ბუმბერაზიც გაჩნდა. გავიხედე — ამხანაგი ამომდგომოდა გვერდში. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ეს ჩვენი აჩრდილები იყო ცაზე აღბეჭდილი.

მოვლენა, რომელმაც ასე გაგვაკვირვა, საკმაოდ ცნობილი და შესწავლილია. მას „ბროკენის აჩრდილს“ უწოდებენ. ბროკენი ჰარცის ქედის (გერმანიაშია) ყველაზე მაღალი მწვერვალია. აქედან იშლება შესანიშნავი სანახაობა. მოგზაურები ხშირად ეწვევიან ხოლმე მას მზის ჩასვლისას.

სწორედ ამ დროს ჰარცის ღრუბლიან ჰორიზონტზე გამოჩნდება ხოლმე მწვერვალზე მდგომი ადამიანების ლანდები, აჩრდილები. და თუ დაბერა ქარმა და გაფანტა ღრუბლები ეს აჩრდილები ღრუბლებთან ერთად ქრება.

კ. ჯავრიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ჩაინვოლდი

შეადგინა ნ. ჯაშმა

ყოველი სიტყვის ბოლო ასო წარმოადგენს მისი მომდევნო სიტყვის პირველ (დასაწყის) ასოს.

სიტყვების მნიშვნელობანი

1. სამოქალაქო ომის გმირი, ქართველი „ჩაპაევი".
2. ადამიანის სამეტყველო ორგანო
3. რიცხვი
3. დაჩირქებული ჭრილობა
5. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი
6. კაცის სახელი
7. უმაღლესი ჯილდო
8. ნაცვალსახელი
9. შექსპირის ტრაგედიის გმირი
10 ქალაქი საქართველოში
11. ბრძოლის მართერთი სახე
12. დასასვენებელი ადგილი ყირიმში
13. ნიკო ლომოშვრის მოთხრობა.
14. ყვავილი.
15. ჯარი.
16. უარყოფა
17. არმიის მართერთი დარგი.

ხალხური გამოცანები

1. თეთრად დავიბადე, წითლად გავიზარდე, შავად დაკბერდი.

2. ჩენს სადგურზე მედგრად ვდგევარ, ყელი მომიღერებია.

3. ოდენო, ოდნის ოდენო, სირიმ-კაჭკაჭის ოდენო.

ლეილა გაბუნია

ქ. თელავი, I საშუალო სკოლა, VII კლასის მოსწავლე.